

ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს სხდომისა

ქალაქი ხობი

2019 წლის 6 მაისი

15 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გვანცა კიკალეიშვილი - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. ალექსანდრე არჩაია - წევრი;
3. გურამ კვიკვინია - წევრი;
4. ადა შელია - წევრი;
5. ნინო ქარჩავა - წევრი;
6. გიორგი გოგოხია - წევრი (მდივანი);
7. ნათია სალაყაია - წევრი;
8. მამუკა ბუკია - წევრი;
9. ზაზა ბუკია - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
10. მარინა რუხაძე - ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი;
11. გიორგი თათარიშვილი - შპს „ხობის დასუფთავება და განათების“ დირექტორის მოადგილე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საბავშვო ბალებში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
(მომხსენებელი - გ. კიკალეიშვილი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე)
2. ქ. ხობში, სკვერში ნარჩენების სეპარირებისთვის სპეციალური კონტეინერების განთავსება;
(მომხსენებელი - გ. კიკალეიშვილი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე)
1. მომხსენებელმა გ. კიკალეიშვილმა, საბავშვო ბალებში შშმ პირებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროების შესახებ ისაუბრა. მომხსენებლის განმარტებით არაერთ ბალში სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ძალიან მნიშვნელოვანია მათზე იყოს ადაპტირებული შენობა-ნაგებობები.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბუკიამ - აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მერიას აქვს ვალდებულება, რომ ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად იყოს ადაპტირებული შშმ პირებზე. მისი განმარტებით მერია მაქსიმალურად ცდილობს აღნიშნული ნორმის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

2. მომხსენებელმა გ. კიკალეიშვილმა, აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქში დაიდგას ნარჩენების სეპარირებისთვის საჭირო კონტეინერები. სეპარირება ერთგვარი ხერხია, სხვადასხვა სახეობის ნარჩენების დასახარისხებლად და შესაბამისად შემდგომში მის გადასამუშავებლად. საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების შემდეგ შესაძლებელი ხდება მათი ნაწილის ხელახლა წარმოებაში გაშვება. გადამუშავების დადებითი შედეგი ეკონომიკური მოგების გარდა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებაცაა, რაც ბუნებრივი რესურსების მოფრთხილებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ ნარჩენების წარმოების ციკლში ხელახალ მოხვედრას განვითარებული ქვეყნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

აზრი გამოთქვეს: მ ბუკიამ თქვა, რომ კარგი იქნება მოსახლეობას მაქსიმალურად მიეწოდოს ინფორმაცია სიახლის შესახებ, რომ საქმე გვაქვს ნარჩენებთან, რომელიც გამოიყენება მეორადი გადამუშავებისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

გადაწყვეტილება მიღებულია

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე გ. სამუშაოების მინისტრი გვანცა კიკალეიშვილი